

Nugesha Gagnidze

ნუგეშა გაგნიძე

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Georgian translations of Josef Weinheber's Poems

იოზეფ ვაინჰებერის ლექსების ქართული თარგმანები

Josef Weinheber, a key figure in 20th-century Austrian literature, remains culturally relevant despite his controversial stance during his time. His poetry continues to inspire scholars and audiences worldwide, with Georgian readers first encountering his work in 2009 through *Anthology of 20th-Century Austrian Lyric Poetry*. This paper aims to analyze the Georgian translations of Weinheber's lyric poetry within the framework of Goethe's classification. Are they faithful to the original, or do they, in some cases, overly adapt the text to the translator's vision? The study places particular emphasis on Giorgi Kekelidze's translations, examining them through the lenses of translation studies, stylistics, and philosophy.

Key words: Lyrical text, subtext, types of translation

საკვანძო სიტყვები: ლირიკული ტექსტი, ქვეტექსტი, თარგმანის სახეები

მხატვრული ტექსტის თარგმნა რომ ურთულესი საქმეა, ამაზე არასოდეს არავინ დავობს. ბევრ კომპეტენციას მოითხოვს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოების მშობლიურ თუ უცხო ენაზე გადათარგმნა. არც მხოლოდ უცხო ენის სრულყოფილად ცოდნაა მეტწილად გადამწყვეტი, და არც მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭი. ვფიქრობ, ორივე მათგანი თანაბრად უნდა გააჩნდეს მთარგმნელს.

მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში ყოველ დროში აქტუალური იყო და არის. ქართული ლიტერატურა განებივრებულია შესანიშნავი მთარგმნელებითა და უზადოდ თარგმნილი ტექსტებით. ერეკლე ტატიშვილი, დალი ფანჯიკიძე, ნელი ამაშუკელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ნიკო ყიასაშვილი, ნანა გოგოლაშვილი, ნაირა გელაშვილი, გიორგი ლობჟანიძე და ბევრი სხვა ის ლიტერატურათმცოდნენი და შემოქმედნი არიან, რომელთაც არაჩვეულებრივად წარმოაჩინეს ქართული ენის შესაძლებლობები, როდესაც უცხო ენებიდან თარგმნეს ევროპული თუ აღმოსავლური ლიტერატურის შედეგები. აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იქმნებოდა და იქმნება თეორიული ხასიათის ნაშრომები მხატვრული ტექსტის თარგმანთან დაკავშირებით. ჯანსაღი ლიტერატურული კრიტიკაც აუცილებელია, რასაც, ასევე, არსებითი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელობითი საქმიანობის წინსვლისთვის.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თარგმნას საქართველოში დიდი ისტორია აქვს. იგი მე-19 საუკუნეში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის, როცა ჯერ გრიგოლ ორბელიანმა, შემდეგ კი „თერგდალეულებმა“ დაიწყეს გერმანულენოვანი ავტორების პოპულარიზაცია სამშობლოში. დღეისდღეობით ზოგიერთი ტექსტის რამდენიმე ქართული ვერსია არსებობს. მაგალითად, გოეთეს *ვერთერი* ითარგმნა სამჯერ, *ფაუსტი* – ოთხჯერ, ბერნჰარდ შლინკის *წამკითხველი* – ორჯერ და

სხვ. არსებობს გოეთეს ლექსის „მგზავრის სიმღერა შებინდებისას“ რამდენიმე ათეული თარგმანი. რაც შეეხება ჩვენს საკვლევ ავტორს, იოზეფ ვაინჰებერს (1892-1945), მისი ნაწარმოებები ქართველმა მკითხველმა შედარებით გვიან გაიცნო. სწორედ ვაინჰებერის, 2009 წელს გამოქვეყნებული, რამდენიმე ლექსია ჩვენი კვლევის თემა. მათი პწკარედული თარგმანი მეკუთვნის მე, ხოლო მხატვრული თარგმანი – მწერალ გიორგი კეკელიძეს. ეს ლექსებია: „ნარშავა“ („Distel“), „სახლი“ („Das Haus“), „პეპელას“ („An einen Schmetterling“), „ლომისკბილა“ („Löwenzahn“) და „ხელოვანი“ („Künstler“). ისინი დაიბეჭდა დათო ბარბაქაძის ინიციატივითა და მისივე წინასიტყვაობით გამოცემულ მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკის მრავალტომეულის მეექვსე ტომში, რომელიც მთლიანად იოზეფ ვაინჰებერს ეძღვნება.

იოზეფ ვაინჰებერი მე-20 საუკუნის მდიდარ ავსტრიულ ლიტერატურაში ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ანტიფაშისტი, მის პოეზიას არასოდეს დაუკარგავს აქტუალობა. იოზეფ ვაინჰებერის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. ფენომენალური პოეტის შემოქმედება დღემდე მეცნიერ-მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. პოპულარობას არ ჰკარგავს მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

ვიდრე იოზეფ ვაინჰებერის ლექსების თარგმნას შევუდგებით, უნდა გავითვალისწინოთ ბევრი რამ: მწერალმა შესანიშნავად იცოდა ლიტერატურის თეორია, ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია. ის თავის ლირიკულ ნაწარმოებებში იყენებდა სხვადასხვა სალექსო ფორმას, რომლებიც არსებობს ანტიკურობიდან დღემდე. მან შექმნა „ფორმათა რეპერტუარი“, რომელშიც თავი მოუყარა ანტიკურ, რომანულ და აღმოსავლურ ისეთ სალექსო ფორმებს, როგორცაა ოდა, ჰიმნი, სონეტი, ტერცინი და გაზალი. ურანიასადმი მიძღვნილ ლექციის შესავალში, „ლირიკული ლექსის არსისათვის“, მისი თანამედროვე ლიტერატურული პროცესებით ძალზე შემფოთებული ვაინჰებერი ხაზგასმით აღნიშნავს: „მე ყველანაირად შევეცდები, როგორმე კვლავ აღვადგინო ლირიკული ლექსის კანონთა მოზაიკის დაზიანებული ფილები. შეგნებულად რამე ახლის აღმოჩენას კი არ ვესწრაფი, არამედ ვცდილობ ამ საზარელ, ბაბილონურ აურზაურში როგორმე გავიხსენო ის, რაც უკვე დავიწყებას არის მიცემული“ (ვაინჰებერი, 2009, გვ. 240-241). მან ყველაფერი გააკეთა დასახული მიზნის მისაღწევად და შექმნა შინაარსითა და ფორმით, მხატვრული სახეებითა და განცდის სიღრმით, ტექსტისა და ქვეტექსტის ერთიანობით გამორჩეული ლირიკული ნაწარმოებები.

იოზეფ ვაინჰებერი ფლობდა ლათინურ, ბერძნულ და იტალიურ ენებს, გერმანულ ენაზე თარგმნიდა ძველბერძნულსა და იტალიურ ტექსტებს, ასევე გერმანულენოვანი მკითხველისთვის დაწერა მიქელანჯელოსა და შექსპირის ადაპტირებული სონეტები. მას ეკუთვნის, ასევე, ლინგვისტური ნაშრომები, რომელშიც იკვლევს ცალკეული ასო-ბგერის არსსა და მნიშვნელობას. პოეტი გატაცებულია შოპენჰაუერისა და ნიცშეს შემოქმედებით, რაც განსაზღვრავს მისი ლექსების პესიმისტურ განწყობას. პირადი ვნებები და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები ვაინჰებერისთვის მთავარი ეგზისტენციალური კატეგორიებია. მის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ ტექსტებზე ასევე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ებრაელი ფილოსოფოსის ოტო ვაინინგერის შემოქმედება.

ამდენად, ისეთი დიდი შემოქმედის ტექსტების ქართულად თარგმნა, როგორც ვიოზეფ ვაინჰებერია და მკითხველთან იმგვარად მიტანა, როგორც ორიგინალის ენაზეა ისინი წარმოდგენილი, ნამდვილად არაა იოლი საქმე.

როცა მხატვრული თარგმანის შესახებ ვწერთ, გვახსენდება იოჰან ვოლფგანგ გოეთე და მისი შესანიშნავი ნაშრომი „Noten und Abhandlungen zu besserem Verständnis des *West-Östlichen Divans*“ („შენიშვნები და განმარტებები დასავლურ-აღმოსავლური დივანის უკეთ გასაგებად“). მასში ვაიმარელი ბრძენი გამოჰყავს ლირიკული ნაწარმოების თარგმნის სამ ტიპს: მარტივი-პროზაული, როცა ლირიკული ნაწარმოების შინაარსი სწორადაა პროზაულად გადმოტანილი ორიგინალის ენიდან; „პაროდიული“, როცა უცხო ტექსტი ზედმეტად გათავისებული აქვს მთარგმნელს და ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მისი საკუთარი ნაწარმოები იყოს და ორიგინალის იდენტური თარგმანი (Goethe, 1981, გვ. 255-257). გოეთე არ ანიჭებს რომელიმე ტიპს უპირატესობას. თითოეულ მათგანს

თავის დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს. ერთი რამ კი არის უმთავრესი და საერთო ყოველი მათგანისთვის: თარგმნილმა ტექსტმა უსათუოდ უნდა მიიტანოს მკითხველთან ის ემოცია, რომელიც ავტორმა თავის ნაწარმოებში გამოხატა. მან უნდა გადმოსცეს დედანში ასახული სინამდვილე! გოეთეს სქემას თუ გავყვებით, ცხადია, გიორგი კეკელიძის მიერ გალექსილი იოზეფ ვაინჰებერის ნაწარმოებები არ არის მარტივი-პროზაული, ზოგჯერ მათში არც ავსტრიელი პოეტის ლექსების შინაარსია სწორად გადმოტანილი. ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი ორიგინალის იდენტურია. ეს ლექსები ქართველი პოეტის საკუთარ ნაწარმოებებს უფრო ჰგავს.

ჩემ მიერ თარგმნილი და განსახილველად შერჩეული ლექსებიდან ორში, „ნარშავა“ და „ლომისკბილა“, იოზეფ ვაინჰებერის განცდები და გრძნობებია ნაჩვენები, ოღონდაც განსხეულებული იმ უცნაურად მშვენიერი ყვავილების მხატვრული სახეებით, როგორებიცაა „ნარშავა“ და „ლომისკბილა“.

იოზეფ ვაინჰებერი ბევრს წერდა ყვავილებზე. ნათლად ჩანს, რომ ისინი მისი ინსპირაციის წყარო იყო, აღსანიშნავია ლექსები: „ვესანე“ („Vergiszme nicht“), „ნარცისები“ („Nrzissen“), „ფურისულა“ („Primel“), „ბალახებში“ („Im Grase“), „ფრინტა“ („Buschwindröschen“)¹, მაჩიტა („Glockenblume“) და სხვ. ეს ლექსები კარგად წარმოაჩენენ ავტორის უმდიდრეს ფანტაზიასა და არაორდინარულ წარმოსახვით სამყაროს, ასევე მის უდიდეს განსწავლულობას ვერსიფიკაციის საკითხებში. სანიმუშოდ ავიღოთ, პირველ რიგში, „ნარშავა“:

DISTEL

Links
oder rechts,
Gutes, Schlechts,
kalt, heiß, sheel, schön:
Du kennst die Welt: Du kannst allein bestehn.

Stich und brings
recht zu Gefühl:
Weh tun muß,
wer er selbst bleiben will.

Haks
grimmig ein!
Mehr in die zarte Hand
als in die harte Hand!
Liebts erst der Kinderschopf,
übts auch der Sauertopf,
und es kost' deinen Kopf.

Tröst dich und trags
ohne Verdruß!
Dir und mir
bleibt gemein:

ნარშავა

მარცხნივ
თუ მარჯვნივ,
ცუდი თუ კარგი,
ცივი, ცხელი, გონჯი, მშვენიერი.
იცნობ სამყაროს, არსებობ მარტო.

ჩხვლეტ და თან მოგაქვს
გრძნობა შენმიერი.
გეტკინოს უნდა,
გაუძლო დრო-ჟამს.

უჩხვლიტე
მწარედ!
ძლიერად ნაზ ხელს,
ნაკლებად მძლავრ ხელს!
უყვარხარ ბავშვს,
აწუხებ პირქუშ კაცს,
გიღირს სიცოცხლე ამაღ.

ნუგემისცემით და
მძიმე ტვირთით
ერთი ვართ
შენ და მე.

¹ ლექსის სათაური „Buschwindröschen“ არასწორადაა თარგმნილი წიგნში *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*. მასალები. თბილისი 2009, გვ.165. პწკარედი თამარ კოტრიკაძის, თარგმანი ვასილ გულეურის. Buschwindröschen ანუ *Anemone nemorosa*, არის არა ვარდის ბუჩქი, არამედ *მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ზაიასებრთა ოჯახიდან*. რომლის ქართული სახელწოდებაცაა ფრინტა.

Stracks
gerupft
und im Maul jeden lahmen Esels zu sein -
Denn das ist der Schluß.

ბოლოს კი, ბოლოს
მთლად განმარცვულნი
ამოვყოფთ თავს
რომელიღაც კოჭლი ვირის ყბაში.

Josef Weinheber

თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

ერთი შეხედვითაც ნათლად ჩანს, რომ იოზეფ ვაინჰებერი, ამ შემთხვევაში, მიჰყვება პოლდერლინისა და ნიცშეს გზას. ცნობილია, რომ ანტიკური ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი ჰოლდერლინი, თითქმის 100 წლით მივიწყებული პოეტი, ხელახლა აღმოაჩინა ფრიდრიხ ნიცშემ. როგორც ნოდარ კაკაბაძე აღნიშნავს, „თავდაპირველად აღმოაჩინეს“ ჰოლდერლინი ლირიკოსი. ეს ის დრო იყო, როცა გერმანულმა ლირიკამ ახალი გზების, ახალი შესაძლებლობების ძიება დაიწყო, ძველი, ტრადიციული, მელოდიური, პლასტიკური სილამაზის შემცველი პოეზია ჩიხში მოექცა, ფრანგული ფორმის იდეალი დაემხო, ჰაინეს ლირიკის ინერცია შესუსტდა და ჰოლდერლინსაც, როგორც მაცოცხლებელ წყაროს, სწორედ მაშინ მიმართეს. ამ დროს უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვა გერმანული პოეზიის ელეგიურ-ჰიმნურმა ტრადიციამ, ურითმო, არა ვიზუალურ შთაჭდილებებზე, არამედ შინაგან ხილვებზე დამყარებულმა ლირიკამ“ (კაკაბაძე, 1982, გვ. 5). სწორედ შინაგანი ხილვებია განმსაზღვრელი ვაინჰებერის „ნარშავას“ ის დიდი მხატვრული ეფექტი, რასაც ის მკითხველზე ახდენს. ოცდაოთხსტრიქონიან ლექსს, რომელიც დაყოფილია ოთხ არათანაბარ ნაწილად, გააჩნია მელოდია, რიტმი, რითმაც. მაგ.:

Links
oder rechts,
Gutes, Schlechts,
kalt, heiß, scheel, schön:
Du kennst die Welt: Du kannst allein bestehn.

მარცხნივ
თუ მარჯვნივ,
ცუდი თუ კარგი,
ცივი, ცხელი, გონჯი, მშვენიერი.
იცნობ სამყაროს, არსებობ მარტო.

Stich und brings
recht zu Gefühl:
Weh tun muß,
wer er selbst bleiben will.

ჩხვლეტ და მოგაქვს
გრძნობა შენმიერი.
გეტკინოს უნდა,
გაუძლო დროჟამს.

Josef Weinheber

თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

გიორგი კეკელიძე გვთავაზობს ვაინჰებერის „ნარშავას“ შემდეგნაირ ქართულ ვერსიას:

მარჯვნივ
თუ მარცხნივ,
სიკეთე და სიკეთედ მყოფი,
ცხელი თუ ცივი, სიმრუდე თუ მშვენიერება:
შენ შეგიძლია მარტო დარჩე, სამყაროს მცნობი.

მიდი, უჩხვლიტე,
აგრძნობინე
ტკივილის გემო,
რომ დარჩეს იმად, რად ყოფნასაც ერჩის სურვილი.
(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

გიორგი კეკელიძის ეს და ყველა სხვა ლექსი, რომელიც მან ჩემ მიერ გაკეთებული პწკარედის მიხედვით შექმნა, ერთი შეხედვით, თუ გერმანული ენა არ იცის მკითხველმა და არ შეუძლია თარგმანი ორიგინალს შეადაროს, მშვენივრად გამოიყურება და სასიამოვნოდ იკითხება. ავტორს ნამდვილად კარგად ხელეწიფება პოეტური სახეებით აზროვნება. მაგრამ რამდენად არის მის მიერ წარმოდგენილი ვაინჰებერის ლექსი დედნის იდენტური?

სრულიად ვეთანხმები დალი ფანჯიკიძეს, რომ „კარგი თარგმანის საიდუმლო ის არის, რომ შენს მშობლიურ ენაზე აღადგინო იგივე რიტმი და ინტონაცია, შექმნა იგივე განწყობილება, ოღონდ არა ლექსის თითოეული კომპონენტისათვის ფორმალური შესატყვისის ძიების გზით. [...] ქართულში ვერ გარიითმება იგივე სიტყვები, რომლებიც დედანშია გარიითმული, მაგრამ ლექსის რიტმული სურათისა და განწყობილების გადმოცემა მაინც შესაძლებელია“ (ფანჯიკიძე, 1988, გვ. 32).

ლექსში „ნარშავა“ ვაინჰებერი წარმოგვიდგენს უცნაურად მშვენიერ ყვავილს, მარტოსულს, ერთდროულად ლამაზსა და უშნოს, რომელიც სამყაროს კარგად იცნობს. პოეტის ლირიკული მესავით ისიც მარტოსულია, შეუძლია წინააღმდეგობებს გაუმკლავდეს, მაგრამ საბოლოოდ განწირულია ტრაგიკული აღსასრულისთვის.

უკვე პირველივე სტროფში ცვლის გიორგი კეკელიძე გერმანული ლექსის შინაარსს: „სიავედ და სიკეთედ მყოფი“ არ გამოხატავს ვაინჰებერის აზრს, სამყაროს მცნობს მარტო დარჩენა კი არ შეუძლია, არამედ მარტო მყოფს და სამყაროს მცნობს, წინააღმდეგობის დაძლევა ძალუძს. ამავედროულად ლექსში არაა შენარჩუნებული რიტმული სურათი და განწყობა. სტრიქონი, „მიდი, უჩხვლიტე, აგრძნობინე ტკივილის გემო“, გარდა იმისა, რომ ყურს ჭრის, არ გამოხატავს ვაინჰებერის აზრს. ავსტრიელი პოეტი ამბობს, რომ ნარშავას ეკლის ნაჩხვლეტს მოაქვს განსაკუთრებული შეგრძნება. უნდა გეტკინოს, მაგრამ უნდა გაუძლო და სახე არ უნდა დაკარგო!

განსაკუთრებით უცნაურია კეკელიძისეული მესამე სტროფი:

სახრჩობელაზე გაისტუმრეთ
გამძვინვარებით!
და ნაზი ხელით ჩაიდინეთ
ეს ბნელი საქმე!
ჯერ შეიყვარეთ იმ უმანკო ბავშვის ქოჩორი,
იწვრთნება როგორც პირქუში და თვალავი კაცი,
გაითავისეთ – რადაც ღირხართ, და მიემსგავსეთ.
(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

ლექსის გერმანული ვერსიის ამ ნაწილში ლირიკული მე მიმართავს ნარშავას, რომ უჩხვლიტოს ხელეზს. ნაზ ხელეზს შეუძლია მან უფრო მეტი ტკივილი მიაყენოს, ვიდრე ძლიერ ხელეზს. ვაინჰებერი წერს, რომ ეს ყვავილი ბავშვებს უყვართ, ხოლო უხასიათო ადამიანები მას ვერ იტანენ. მიუხედავად ამისა, უღირს მას სიცოცხლე. საერთოდ არ მიესადაგება ამ ტექსტს „სახრჩობელაზე გასტუმრება“ და მოწოდება, რომ ჯერ შეიყვარონ „ბავშვის ქოჩორი“. ეს სტრიქონი საერთოდ აცდენილია ორიგინალს. ასევე ლექსის ამ ნაწილში დაკარგულია დედნისეული რიტმი და ინტონაცია. ვაინჰებერისეული სენტიმენტალური და მელანქოლიური ტონი შეცვლილია ლირიკული მეს მკაცრი მოწოდებით.

არც კეკელიძისეული მეოთხე სტროფი გამოხატავს ვაინჰებერის გულნადებს როგორც შინაარსობრივი, ასევე რიტმული და ინტონაციური ხმოვანებით.

ჰპოვე სიმშვიდე
და ატარე წყენის გარეშე!
შემოგვრჩენია მეც და შენაც;
სვეა საერთო

და დასასრულს
 უსათუოდ სარგები წესი:
 გამოგვაცლიან სათითაოდ ბუმბულს და ფოთოლს
 და მყრალ ხახაში მოგვიგდებენ კოჭლი ვირები.
 (ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

ამ სტროფში გაჟღერებული „სათითაოდ ბუმბულის გამოცლა“ არ არის ვაინჰებერის ლექსში წარმოდგენილი განცდის ადეკვატური. პოეტი ამბობს, რომ მძიმე ტვირთითა და საკუთარი თავის ნუგეშისცემით ერთმანეთს გვანან მისი ლირიკული მე და ნარმაზა. ბოლო კი ორთავეს ერთი აქვთ: ერთ მშვენიერ დღეს, ორივენი, განძარცვულნი, რომელიღაც კოჭლი ვირის ყბაში ამოჰყოფენ თავს.¹

მხატვრული-სტილური და იდეურად გამორჩეული ლექსია ვაინჰებერის შემოქმედებაში „სახლი“:

Das Haus	სახლი
Am Rand der Stadt, in die Äcker hinein, wo die Furt der Straßen sich schlammig verliert, steht es, das Haus, verlassen, allein, kein Vogel verweilt ums Geviert.	ქალაქის ბოლოს, მინდვრების მიღმა, სადაც ქუჩები შლამში იკარგება, მიტოვებული ერთი სახლი დგას, იქ ჩიტიც წამით არ შეყოვნდება.
Der Lebensklagen tödlicher Wind bestreicht die kahlen Simse aus Stein; grün fällt der Mond in die Fenster blind, daß es schimmert wie Totengebein.	მომაკვდინებელი გოდება ქარის მოფენება შიშველ ლავგარდანს; ფანჯრიდან მწვანე ნათება ბრმა მთვარის ისე ჩანს როგორც სხეული მკვდარის.
Der Armut ewige Spindel surrt und immer ist Nacht und Verruf um das Haus. Die Schreie des Sterbens und der Geburt schießen wie Garben zum Dach hinaus.	და თითისტარი სიღარიბისა ტრიალებს სახლში, ღამეა ირგვლივ! სიკვდილ-სიცოცხლის კვილი ცვივა სახურავიდან ზვინვით თივის.
Josef Weinheber	თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

¹ Haks
 grimmig ein!
 Mehr in die zarte Hand
 als in die harte Hand!
 Liebt erst der Kinderschopf,
 übt auch der Sauertopf,
 und es kost' deinen Kopf.

უჩხვლიტე
 მწარედ!
 ძლიერად ნაზ ხელს,
 ნაკლებად მძლავრ ხელს!
 უყვარხარ ბავშვს,
 აწუხებ პირქუშ კაცს,
 გიღირს სიცოცხლე ამაღ.

Tröst dich und trags
 ohne Verdruß!
 Dir und mir
 bleibt gemein:
 Stracks
 gerupft
 und im Maul jeden lahmen Esels zu sein -
 Denn das ist der Schluß.

ნუგეშისცემით და
 მძიმე ტვირთით
 ერთი ვართ
 შენ და მე.
 ბოლოს კი, ბოლოს
 მთლად განძარცვულნი
 ამოვყოფთ თავს
 რომელიღაც კოჭლი ვირის ყბაში.

Josef Weinheber

თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

ვაინჰებერის ამ შესანიშნავ ლექსში აღწერილია ქალაქის ბოლოს, მინდვრების მიღმა მდგომი, მიტოვებული სახლი. სახლამდე მისასვლელი გზაც აღარ არსებობს – შლამში იკარგება იგი. ისეთი უკაცრიელია ირგვლივ ყოველი, რომ ჩიტიც კი არ შეყოვნდება წამით. განსაკუთრებით შთამბეჭდავდაა ლექსში წარმოდგენილი „ქარის მომაკვდინებელი გოდება“, რომელიც „შიშველი ქვის ლავგარდანს ეფინება“. მიტოვებულ სახლში სიღარიბის თითისტარი ტრიალებს და სიკვდილ-სიცოცხლის კვილი სახურავიდან ეშვება თივის ზვინებივით. გასაოცარი მეტაფორაა „ბრმა მთვარის მწვანე ნათება“, რომელიც „მიცვალებულის ჩონჩხს“ ჰგავს. „მიცვალებულის ჩონჩხი“ მე ჩემს თარგმანში გადმოვიტანე როგორც „მკვდრის სხეული“.

გიორგი კეკელიძის მიერ გალექსილ ვაინჰებერის ამ ლექსში თითქოს შენარჩუნებულია დედნის რიტმული სურათი, ჯვარედინი რითმაც თავის ადგილზეა. მე-20 საუკუნის დასავლეთევროპულ ლირიკა, კერძოდ კი ავსტრიულ ლირიკა, არ არის დატვირთული პოეტური სამკაულებით. ავსტრიელ ავტორთა ლექსებში სისადავითა და აზრის სინათლით მიიღწევა დიდი ეფექტი. ვაინჰებერის „სახლის“ გიორგი კეკელიძის მიერ გალექსილი პირველ სტროფში ზუსტად ეს სისადავა დაკარგული „მინდვრის ფერებს დანთქმული ატეხილი ქუჩებით“ და „მველი სახლის გაყუჩებით“.

ქალაქის პირას, უნაპირო მინდვრების ფერებს
დაენტქმებიან ატეხილი სადაც ქუჩები,
სადაც ფრინველი ფრთას წამითაც არ შესავენებს,
მიტოვებული მველი სახლი დგას გაყუჩებით.
(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითი გიორგი კეკელიძის თარგმანიდან ნამდვილად არ გამოხატავს ვაინჰებერის მიერ მარტივად და სულისშემძვრელად, ძალზე მელანქონიურად წარმოდგენილ მიტოვებულ სახლს. კიდევ უფრო უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს მეორე სტროფი:

მომაკვდინებელ ქარიშხალთა ავი ჩურჩული,
გადაეკლება ქვამონავლებ შიშველ ლავგარდანს.
ბრმა მთვარე მწვანედ ებლანდება ფანჯრის ურდულეებს
და გარდაცვლილის ჩონჩხის ლანდად მოდგება კართან.
(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

„შიშველი ქვის ლავგარდანს“ გიორგი კეკელიძის მხატვრულ თარგმანში წარმოდგენილია, როგორც „ქვამონავლები შიშველი ლავგარდანი“. „ქვამონავლები შიშველი ლავგარდანი“ არ არსებობს! ლავგარდანი არის შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლებული დეკორატიული არშია, კარნიზი. ის შეიძლება იყოს ქვის ან ხის. ვაინჰებერის ლექსში „შიშველი ქვის ლავგარდანის“ მეტაფორა გამოხატავს სასოწარკვეთას, რომელსაც იწვევს მიტოვებული სახლი, რომელშიც ერთ დროს სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა კი მასში სიკვდილს დაუსადგურებია.

ვაინჰებერის ლექსში „სახლი“ მომაკვდინებელი ქარი, შლამში ჩაკარგული სახლთან მისასვლელი გზა და „ბრმა მთვარის მწვანე ნათება“, რომელიც „მიცვალებულის ჩონჩხს ჰგავს“ არსებითი მნიშვნელობისაა. შლამში დაკარგული ქუჩა (თუ გზა) გიორგი კეკელიძის მიერ შემოთავაზებულ ვერსიაში გამქრალია და მის ადგილს იჭერს „უნაპირო მინდვრების ფერებს დანთქმული ატეხილი ქუჩები“. სტრიქონები, „ფანჯრის ურდულეებს მწვანედ გაბლანდული ბრმა მთვარე“ და „ირგვლივეთის მკვიდრი მარადი“ საგრძნობლად აშორებს ქართული თარგმანის დედანს.

აქ სილატაკის თითისტარი ზუზუნს არ ილევს
და ღამე არის ირგვლივეთის მკვიდრი მარადი
და დაბადება და სიკვდილი მზარავ კვილად
ზვინის ძნებივით დაბებკილან სახურავამდე.
(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

საყურადღებოა ლექსის ბოლო სტრიქონები, რომლებშიც ვაინჰებერი გვიხატავს დაბადებისა და სიკვდილის კვილის ცვენას მიტოვებული სახლის სახურავებიდან. ეს სულისშემძვრელი სურათი გიორგი კეკელიძის მიერ გალექსილ ტექსტში პირიქითაა ნაჩვენები – „დაბადება და სიკვდილი მზარავ კვილად ზვინის ძნებივით დაბეჭვილან სახურავამდე“. გარდა იმისა, რომ გერმანულ ტექსტში აღწერილი რეალობა მცდარადაა მის ქართულ ვერსიაში წარმოდგენილი, არც სიტყვები „დაბეჭვილან“ და „ირგვლივეთი“ უხდება ლექსს. ცხადია, დედნის უპირობო ერთგულება არ არგებს თარგმნელ ნაწარმოებს, მაგრამ მთარგმნელმა არც თავისი მშობლიური ენის თავისებურებების ერთგულების გამო უნდა გაწიროს დედანი. აუცილებლად უნდა ეცადოს მხატვრული თარგმანის ავტორი დედანსა და თარგმანს შორის დინამიკურ ექვივალენტს მიაღწიოს. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა უცხო ენის სიღმისეული ცოდნა, მთარგმნელი უნდა გრძნობდეს მწერლის ეპოქის მაჯისცემას, ერკვეოდეს ენის ფილოსოფიაში და სხვ. ჩემი აზრით, პწკარედიდან შექმნილი მხატვრული თარგმანი ზოგჯერ ვერ იძლევა სათანადო შედეგს.

ფორმის თვალსაზრისით, ისევე როგორც შინაარსით, ძალზე საინტერესოა „ლომისკვილა“. როგორც სათაურიც მიგვითითებს, იგი ეძღვნება მინდვრის მშვენიერ ყვითელ ყვავილს ლომისკვილას. ლექსი შედგება სამი სტროფისგან, თითოეული მათგანი კი ხუთი სტრიქონისგან. მასში გამოყენებულია არცთუ ხშირად გავრცელებული საზომი: abaab. ასეთი რითმა ლექსს განსაკუთრებულ ჟღერადობასა და გარეგნულ ეფექტს სძენს და, ვფიქრობ, შესაძლებელია მისი ამგვარად გადმოტანა ქართულ თარგმანში:

Keine Vase will dich. Keine
Liebe wird durch dich erhellt.
Aber deines Samens reine
weiße Kugel träumt wie eine
Wolke, wie der Keim der Welt.

არცერთ ლარნაკს არ უნდისარ, არც ერთს!
ტრფობა კი ნათდება შენით.
ხოლო შენს თესლებს მთლად წმინდას და თეთრს
სწყურიათ ოცნება ვით ღრუბლებს ცაზე,
როგორც ჩანასახს სამყარო ვრცელი.

Lächle! Fühl dich gut gedeutet!
Blüh! So wird aus Schweigen Huld
Bittre Milch und Flaum, der gleitet:
O nicht Haß – den Himmel weitet a
Weisheit. Stillesein. Geduld.

გაიღიმე! შეიგრძენ თავი მარადდღე!
აყვავდი! გექცევა სიკეთედ დუმილი,
მწარე რძე, მსუბუქი ბუმბული ფარფატებს.
რა სიძულვილი – ზეცას აფართოებს
სიბრძნე. მდუმარება. თმენა და წუხილი.

Wärst du auf der Höh geboren,
ferne, selten, früh empor:
teilnahmslosem Gang der Horen
blühtest ruhmvoll, unverloren,
groß, dein Wunder vor.

რომ შობილიყავ იქ, მაღლა, შორეთში,
დილასისხამზე მიუწვდომელი,
და უმოწყალო სვლაში ჰორების,
აყვავდებოდი კვალუქრობელი,
საკვირველი და ყოვლისმპყრობელი.

Josef Weinheber

თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

გიორგი კეკელიძე ცდილობს დაიცვას დედანში არსებული რითმა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყავს საქმე. ისევე როგორც ჩემ მიერ განხილულ წინა ორ ლექსში, ამ შემთხვევაშიც ზოგჯერ ქართული თარგმანის შინაარსიც არ შეესაბამება ვაინჰებერის „ლომისკვილას“. სამაგალითოდ მოვიყვან ლექსის მესამე სტროფს:

რომ შობილიყავ მწვერვალების მზისფერ კალთაზე,
გადაგეპენტა ირგვლივეთი დილის მზესავით.
ჰორიზონტების ზანტ ალმურში ფრთას გაანაზებ,
ჯიუტად ხარობ, დასაკარგი გზები ჩარაზე,
ხარ საკვირველი, საოცარი და საესავი.

(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

გარდა იმისა, რომ ვაინჰებერისეულ რითმაზე უარს ამბობს გიორგი კეკელიძე, საერთოდ არაა საჭირო ლექსში არქაული სიტყვა საესავი, რაც ნიშნავს საიმედოს. ნაწარმოებში ლომისკბილას საიმედოობაზე სულაც არაფერია თქმული. ლექსის ბოლო სტროფიდან გამქრალია ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთები ჰორები. არადა ჰორებს, ხევსისა და თემიდას ასულებს, ჟამთასვლის, წლის დროთა, სიჭაბუკისა და სილამაზის, ბუნების მომწესრიგებელ ქალღმერთებს, ტექსტში განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ. ჰორების სვლაში რომ შობილიყო ლომისკბილა, იქნებ მარადიულიც კი ყოფილიყო მისი სიცოცხლე – ფიქრობს ვაინჰებერი. ნაცვლად ამისა გიორგი კეკელიძე წერს, რომ ლომისკბილა ჯიუტად ხარობს და დასაკარგ გზებს რაზავს. იგი არის „საკვირველი, საოცარი და საესავი“. საკვირველი და საოცარი, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებია. ამდენად, უმჯობესი იქნებოდა გერმანული ზედსართავების შესატყვისი ქართული სიტყვების მოძებნა და გამოყენება.

ლექსში „პეპელას“ გიორგი კეკელიძე იყენებს ვაინჰებერისეულ ჯვარედინ რითმას abab. შეიძლება ითქვას, რომ ჩემ მიერ განხილულ ლექსთაგან იგი ყველაზე უფრო მიახლოებულია ორიგინალთან. მხატვრული თარგმანის ავტორი ცდილობს შეინარჩუნოს მასში რიტმი და ინტონაცია, განწყობა და მუსიკალობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც პოეტ გიორგი კეკელიძის ინდივიდუალური სტილი ფარავს ავსტრიელი ავტორის სტილს. სამაგალითოდ მოვიყვან ერთ სტროფს ლექსიდან „ლომისკბილა“:

უფლის ოცნებამ თუ დაგბადა მსუბუქი ასე,
 შემოექეცი მოციქულად უცხო ზეცათა,
 შენ შეიფარე სიყვარული და მიიმსგავსე,
 ფრთა მოუჩრდილე მას, რომელიც შენად გეწადა.¹
 (ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

პოეტისა და პოეზიის თუ ხელოვანისა და ხელოვნების დანიშნულების თემა ყველა კულტურასა და ყველა ეპოქაში აქტუალურია. იოზეფ ვაინჰებერსაც აქვს ერთი მშვენიერი ლექსი „ხელოვანნი“, რომელშიც იგი წერს ხელოვანთა მისიის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ ისინი უჩვენონ ადამიანებს სიტყვის, ბგერისა და ფერის არსი. ეული ხელოვანნი ტანჯვით გაივლიან ცხოვრების რთულ გზას და ოცნებობენ უკვდავებაზე.

<p>Der Weg ist Leid, der Ruhm ist Trug, im Werkrausch bleibt uns Lohn genug: nach dieser überbittern Zeit die Hoffnung auf Unsterblichkeit.</p> <p>Josef Weinheber</p>	<p>ტანჯვაა გზა, დიდება – ტყუილი, ჯილდო საკმაოდ გვრჩება გარჯისთვის: იქნებ, ზემწარე დრო-ჟამის მერე იმედი უკვდავების მოგვეცეს.</p> <p>თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ</p>
---	---

ხელოვანთ უყვართ ღამე და დაისის სიჩუმე, ვერ იტანენ დღის აურზაურს, მარად ბავშვები ჩაფლულნი არიან სიღარიბეში და ეძებენ იმ გულებს, პოეტებს რომ გაუგებს. და თუ იპოვეს ისინი, მათი ერთგულნი არიან კუბოს კარამდე. ვაინჰებერი ლექსში იყენებს პარალელურ რითმას (aabb) და გასაოცარი მხატვრული სახეებით დიდ პოეტურ ეფექტს აღწევს. გიორგი კეკელიძე ცდილობს

¹ Du, leicht und schön, aus Gottes Traum geboren,
 du Bote einer tiefersehnten Welt.
 Du Sieger, der die Liebe unverloren
 und sanft im Segel seiner Schwingen hält.

Josef Weinheber

მსუბუქო, ნაზო, ღვთის ოცნებიდან შობილო,
 დესპანო ღრმად მონატრებულ სამყაროს.
 არდაკარგული სიყვარული, ძღვევამოსილო,
 შენს სათუთ ფრთებში შეფარებულა საამოდ.

გერმანულიდან თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

მწერლის სათქმელი ოსტატურად მოიტანოს ქართველ მკითხველამდე, გერმანული ლექსის საზომი და განწყობაც შენარჩუნებული აქვს, მაგრამ მაინც საკუთარი ინდივიდუალური სტილის ერთგულია:

და ველით მთვარეს წამოცდენილ ზღვისფერ სიჩუმეს,
გვძულს მღვიძარე დღე, დაზგის ტყვეობას ვერ დავიჩემებთ.
ყოველცისმარე ვარსობთ მდიდრულ სიღარიბეში
და მოურჩენი სიყმაწვილის გვაოსებს თქვეში.
გული გვენახა, გვესურვოდა ცალად მარები
და სულთა ჩვენთა გადაგვედო იდუმალება,
და ის აქ არის და სიამის ცრემლი გვერევა,
სიკვდილთან ახლოს ჩამოდგება ბედნიერება...
დასაბამიდან იყო ვნება და ვნების კვალად,
ღმერთო ულვეი აღმაფრენის მოგვეცი ძალა.
(ვაინჰებერი, 2009, გვ. 95)

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ მკითხველმა არ იცის გერმანული ენა და არ წაუკითხავს იოზეფ ვაინჰებერის ლექსი, ნამდვილად მოეწონება მისი გიორგი კეკელიძისეული ქართული ვერსია. ეფექტური, პოეტური და ღრმა შინაარსის შემცველი სახეებია „მთვარეს წამოცდენილი ზღვისფერი სიჩუმე“ და „სიკვდილთან ახლოს ჩამომდგარი ბედნიერება“. არადა, ასე მძიმედაც არაა დაწერილი ვაინჰებერის ნაწარმოები, არც „დაზგის ტყვეობაზე“ მასში ლაპარაკი და არც „სულთა იდუმალებაზე“.

Uns ist der Mond, die Stille lieb,
wir hassen Taglärm und Betrieb,
in unsrer reichen Armut sind
wir Kind und Kind und wieder Kind.
Wir sehnen uns von früh bis spät
nach jenem Herzen, das versteht,
und ist es da, und sagt es ja,
bringt uns dies Glück dem Tode nah.
Im Anfang war die Leidenschaft:
Gott segne uns die Schöpferkraft!

Josef Weinheber

გვიყვარს მთვარე, სიჩუმე დაისის,
გვძულს დღის ხმაური, აურზაური,
ჩაფლულნი უხვად სიღარიბეში
ვართ სამუდამოდ მარად ბავშვები.
განთიადიდან გვიანობამდე
დავეძებთ გულებს, ჩვენ რომ გაგვიგებს,
და თუ ვიპოვეთ, ის თუ აქ არის
ბედნიერნი ვართ კუბოს კარამდის.
პირველად იყო ვნება მხურვალე:
უფალო, დაგვილოცე მუზა ჩვენ!

თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ

ამრიგად, ჩემ მიერ განხილულ იოზეფ ვაინჰებერის ლექსებში, რომელთა პწკარედი მე მე-კუთვნის, ხოლო მხატვრული თარგმანი გიორგი კეკელიძეს, გადმწყვეტია გიორგი კეკელიძის ინდივიდუალური სტილი, მათში ნაკლებადაა შენარჩუნებული ავსტრიელი პოეტის ლექსების რიტმი, ინტონაცია, რითმა, ზოგჯერ ნაწარმოების შინაარსიც შეცვლილია. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ, ისევე როგორც ეს ლექსები, *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკის მრავალტომეულიც*, მნიშვნელოვანი და საჭირო ნაშრომებია ავსტრიული და დასავლეთევროპული ლიტერატურის მკვლევრებისთვის, მთარგმნელებისთვის, სტუდენტებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარბაქაძე დ. (2009). *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*. მასალები. (იდეის ავტორი, ხელმძღვანელი და გამომცემელი). თბილისი.
- კაკაბაძე ნ. (1982). „ფრიდრიხ ჰოლდერლინი და მისი რომანი *ჰიპერიონი*“. წიგნში: ფრიდრიხ ჰოლდერლინი *ჰიპერიონი*. თბილისი.
- ფანჯიკიძე დ. (1988). *თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, თბილისი.
- Goethe J.W. (1981). „Noten und Abhandlungen zu besserem Verständnis des West-Östlichen Divans“. In: *Goethes Werke*. (Hamburger Ausgabe) Band II: *Gedichte und Epen*, Hg. v. Erich Trunz. München.

References:

- Barbakadze D. (2009). Me-20 sauk'unis avst'riuli lirik'a. Masalebi. [20th Century Austrian Lyrics. Materials]. (Ideis avt'ori, khelmdzghvanieli da gamomtsemeli). Tbilisi.
- Goethe J.W. (1981). „Noten und Abhandlungen zu besserem Verständnis des West-Östlichen Divans“. In: *Goethes Werke*. (Hamburger Ausgabe) Band II: *Gedichte und Epen*, Hg. v. Erich Trunz. München.
- Kakabadze N. (1982). „Pridrikh holderlini da misi romani hip'erioni“. Ts'ignshi: pridrikh holderlini hip'erioni. [“Friedrich Holderlin and His Novel Hyperion”. In the book: Friedrich Holderlin Hyperion]. Tbilisi.
- Panjikidze D. (1988). Targmanis teoria da p'rakt'ik'a. [Theory and Practice of Translation]. Tbilisi.